# სახალხო გაზეთი

№ 280 კვირა, 17 აპრილი, 1911 წ. წელიწადი მეორე. № 280

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ., უკანასკნელზე—10 კაპ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „სორაპან"-ში, მადათოვის კუნძულზე და ეღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ე. მეტცლ და ამხ—ის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთის" რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3—მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქ. N 12

ფოსტის ადრესი: წერილებისთვის და ფულისთვის Тифлисъ, газ. „Сахалхо Газети" п. ящ. 190.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.


## „სახალხო გაზეთი"-ს ხელის მომწერთა საყურადღებოთ:

მოვაგონებთ ჩვენ ხელის მომწერთ, რომ ყოველ თვის დამდეგიდან, ვისაც ხვედრი ფული იმ დროსთვის არა აქვთ წარმოდგენილი—გაზეთის გზავნა შეჩერებულია.

გაზეთის ფასი დამატებიანათ ტფილისში და მის გარეთ აღნიშნულია პირველ სტრიქონზე, და საზღვარ გარეთისა—მეორე სტრიქონზე:

| წლ. | 11 თვ. | 10 თვ. | 9 თვ. | 8 თვ. | 7 თვ. | 6 თვ. | 5 თვ. | 4 თვ. | 3 თვ. | 2 თვ. | 1 თვ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8. 50. | 8. — | 7. 50. | 6. 90. | 6. 20. | 5. 50. | 4. 80. | 4. — | 3. 20. | 2. 40. | 1. 60. | — 80. |
| 12. 8. | 11. — | 10. — | 9. — | 8. — | 7. — | 6. — | 5. — | 4. 50. | 3. 50. | 2. 50. | 1. 25. |

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპეიკი.

ადრესის გამოსაცვლელი ფასი 40 კაპ.

წლიურ ხელის მომწერს გაზეთის ფასი შეუძლიან გადაიხადოს ნაწილ-ნაწილადაც: ხელის მოწერის დროს 3 მან., 1 მარტისთვის 2 მან. 1 მაისისთვის 2 მან. და 1 ივლისისთვის 1 მან. 50

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ ყოველ თვის პირველ რიცხვიდან და არა ნაკლებ ერთი თვისა.

---

ლუარსაბ ქაიხოსროს ძე ჯაფარიძე შვილებითურთ აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ, რომ ორშაბათს, 18 აპრილს, წმ. ნინოს ეკლესიაში გარდახდილ იქნება წლის წირვა და პანაშვიდი, პირველის მეუღლისა, ხოლო დანარჩენთა—დედის

კესარია პავლეს ასულის ჯაფარიძის

სულის მოსახსენებლად. (1—560—1)

---

## ქართული თეატრი

კვირას, 17 აპრილს, ქართულ თეატრის შსახიობი

შ ა ქ რ ო ს ა ფ ა რ ო ვ ი

გამართავს ქართულ წარმოდგენას. წარმოდგენილი იქნება ცნობილი ისტორიული ტრაგედია

## დიდი მოურავი,

5 მოქ. და 17 სურათად. თხზ. ან. ფურცელაძისა.

მონაწილეობენ ქ-ნნი: ვიქტორელი, კარგარეთელი, ჩერქეზიშვილი, ჯავახიშვილი. ბ-ნნი: აბაშიძე, არადელი, გრიშაშვილი, გუნია, გამყრელიძე, გვარამე, ივანიძე, ჟივიძე, ზარდალიშვილი, მდივანი, მატარაძე, მამფორია, საფაროვი, ციციშვილი, მალიკაშვილი და სხვანი.

ამავე პიესაში ქართული ხორო შეასრულებს სხვა და სხვა სიმღერებს.

ადგ. ფასი 30 კ. 2 მ. 50 კ.-მდე. დასაწყისი საღ. 8 ს. (2—1217—2)

---

## იაფ-ფასიანი ლექცია. სახალხო სახლი ძმ. ზუბალაშვილებისა

კვირას, 17 აპრილს 1911 წ. ნაფიცი ვექილის თანაშემწე ა. ზ. ლვალაძე წაიკითხავს ლექციას რუსულად შემდეგ თემაზე:

### საერთაშორისო მდგომარეობა საქართველოსი უძველეს დროს და თამარ მეფის შემდეგ

I 1) მოკლე ეთნოგრაფიული და სტატისტიკური ცნობები ქართველი ტომის შესახებ, 2) ომები და ვაჭრობა საქართველოსი წინა აზიის უძველეს სამეფოებთან, 3) გავლენა რომისა, ბიზანტიისა და არაბებისა ქართველი ხალხის პოლიტიკურ ცხოვრებაზე, 4) თამარის მეფობა, II 5) ქართველების შევიწროვება მონღოლებისაგან და სელჯუკებისაგან, 6) საქართველოს საერთაშორისო მდგომარეობა დაყოფის შემდეგ რუსეთთან შეერთებამდის. ადგილების ფასები 5 კ.—50 კ. დასაწყისი დღისით $12^1/_2$ საათზედ. ადმინისტრატორი გ. იორდანაშვილი. (2—557—2)

---

სახალხო სახლი ძმ. ზუბალაშვილებისა.

ორშაბათს, 18 აპრილს, ქართ. სცენის ხელოვნების მოყვარეთა მიერ, და ბ-ნ ალექს. შანშიევის დახმარებით, წარმოდგენილი იქნება ცნობილი ტრაგედია შილლერ სა

## ყ ა ჩ ა ღ ე ბ ი, ტრაგედ. 5 მოქმ. და 8 სურათად.

მონაწილეობენ: ქ-ნი ა. კავთელი. ბ-ნნი ლ. ბაღაშვილი, ალექს შანშიევი, აგო ჩიტიშვილი, ა. გოგაშვილი, ა. დოდაძე, ნ. მირველოვი, ა. სულთანოვი, მ. ჩალიძე, სადიაშვილი, ფრანგიშვილი, ვ. ხარმანიძე, გ. მელაძე, დ. აბდუშელიშვილი და სხ. უმთავრეს როლებს შეასრულებენ: ფრანც მოორისას—ალექს. შანშიევი, ყაჩაღ მოორს ლ. ბაღაშვილი. დასაწყისი საღ. 8 ს.

ბილეთების ფასი 10—80 კ. ბილეთები იყიდება თეატრის კასაში ყოველ დღე. ამ წარმოდგენაზე უფასო კონტრამარკები არავის მიეცემა.

(1—559—1) ადმინისტრატორი ა. ტიგაშვილი

---

გამოვიდა და იყიდება საყმაწვილო სურათებიანი მოთხრობები ივანე ელიაშვილისა „სამშობლო ბუნების სარკე"

ტფილისში იყიდება წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში. ქუთაისში თ. მთავრიშვილის წიგნის მაღაზიაში. ფ ა ს ი 30 კაპ.

(თვ.—1224—3)

---

## ტფილისის კერძო სამკურნალო

გაფართოებულია და სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით.

განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.

ქსენიევის ქუჩა, საკუთარი სახლები № 7, „ვეტცელის" სასტუმროსთან.

ტელეფონი № 590.

სტაციონარულ ავადმყოფთა მიღება ყოველთვის შეიძლება დღეს და ღამეს.

სამბულატორო ავადმყოფებს მიიღებენ სპეციალისტი ექიმები:

გედევანიშვილი მ. ა. ნერ. და ელექ., ორშ., და პარ. $10^1/_2$—11 ს.

დავითაშვილი რ. ს.—შინაგ. და ნერვებ. ყოველ დღე 1—2 ს.

კარშინი ა. ა. კან. და ვენ., ყოველ დღე კვირას გარდა $2^1/_2$—$3^1/_2$ ს.

მაღლაკელიშვილი გ. გ. შინ., სამშ. და ხაპ. 10—12 ს.

ქიქოძე დ. ს. შინაგანი, ორშაბათობით და ოთხშაბ. 9—10 ს.

მანსვეტოვი გ. მ. შინ., ორშ., ოთხშ., და პარასკ. 1—2 ს.

მუსხელიშვილი ვ. ს.—თვალისა, ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ. 2—$2^1/_2$ ს.

მელიქიშვილი. ნ. მ. ქირურ. და დედაკაც. ყოველ დღე 10—12 ს.

მიქელაძე შ. ა.—შინაგან და ბავშვ. ყოველ-დღე 12 ნახ.—1 ს.

ორემბოვსკი ნ. ს.—ყურისა, ყელისა და ცხვირისა. ორშაბ., სამშაბ., ხუთშაბ. და პარასკ. 12—1 ს.

ფირალოვი რ. ბ. ქირურ. ყოველ დღე 12—1 ს. დროებით წასულია.

პაპოვი ვ. ა. ყურ., ყელის და ცხვირის ყოველ დღე 2—$2^1/_2$ ს.

ხობოლევსკი გ. ვ. ქირურ., ყოველ დღე, 9—11 ს.

სულხანოვი ა. ი. სამშობიარო და ქალის 12—1 ს.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი წამლობა „606"-ით (Ehrlich-hata) აქვს აგრეთვე საკუთარი მიკროქიმიურ და ბაქტერიოლოგიური ლაბორატორია, რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი.

რჩევა ღირს 50 კაპ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაც. კონსულტაც., ელექტრონით წამ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შედავათ. სადღასურით. (წ.—1089—448)

---

კანტორა აცხადებს რომ ხელის-მომწერთ, რომელთაც ხელის-მოწერის ფული 1 იანვრიდგან მხოლოდ 3 მან. აქვთ შემოტანილი, გაზეთის გზავნა მოესპოგათ 20 აპრილიდგან.

---

გოლოვინის პროსპექტი

## ცირკი—სპორტი



კვირას, 17 აპრილს, 1911 წ. გაიმართება დიდი სადღესასწაულო წარმოდგენა.

პირველი დებიუტი

მასხარა (კლოუნი) ლავროვისა

და პირველი გამოსვლა ჯამბაზებისა ძმათა ლავროვებისა

მეშვიდე დღეს ფრანგულ ჭიდაობის საერთაშორისო ჩემპიონატისა ი. პ. ლებედევის ხელმძღვანელობით.

## დღეს 5 საინტერესო ჭიდაობაა

მონაწილეობს ხუთი მხოლოდ ცნობილი ფალავნები: შ ე მ ი ა კ ი ნ ი, „შავი ნილაბი" და შლეიდერ მილლერი. კავკასიური ჭიდაობა ჩოხებით: ბ უ ლ ი ეჭიდება კავკასიის ცნობილ მოჭიდავეს გ ა რ ე ჯ ა ს ე ლ ს.

ა ნ ო ნ ს ი: ორშაბათს, 18 აპრილს, გაიმართება გამოჩენილი წარმოდგენა, რომელშიაც სადებიუტოდ გამოვლენ ახლად მოწვეული არტისტები (1—1216—1)

---

## ისყიდება

დიდ-ზომის მსწრაფლ-მბეჭდავი ნასმარი

## მ ა ნ ქ ა ნ ა

პირობების გაგება შეიძლება „სახალ. გაზეთის" რედაქციაში, კირილესთან. 2—2

---

ქ. შ. წ. კ. გ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში

## იყიდება შემდეგი წიგნები:

ა რ ჩ ი ლ ჯ ო რ ჯ ა ძ ი ს ა: „ეროვნულ პრობლემის გარშემო". ფასი 75 კაპ.

B a t o n-ისა: „ერი და კაცობრიობა განხილული სოციოლოგიური მხრით".—ფასი 1 მან. 20 კაპ.

ვ. უ ი ფ ა ა ნ ი ს ა: „სამეგრელოს მთავარი ბატონიშვილი ლევან"—ისტორ. დრამა—ფასი 40 კაპ.

ზემო აღნიშნული წიგნები იყიდება აგრეთვე გოლოვინის პროსპექტზე „ახალი სიტყვის" („Новая Рѣчь") წიგნ. მაღაზიაში და ქუთაისში—მთავრიშვილის წიგნის მაღაზიაში.

---

საბურთალოზე მშვენიერ ალაგას, ახლად აშენებულ ეკლესიისა და ლიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ოთხ-კუთხ საჟენი 80 კ.-დან. მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე თაქთაქიშვილს, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 3 საათზე, საღამოს 5 საათიდან 8 საათამდინ. (წ.—1147—26)

---

## ბ ა ლ ი
## ე დ ე მ ი

მაქვს პატივი, ვაუწყო პატივცემულ საზოგადოებას, რომ ბალ ედემში ყოველ-ნაირი შენობები: კაბინეტები და ფანჩატურები (ბესედკები) ხელ-ახლად შეკეთებულია; გაკეთებულია ახალი დიდი დარბაზი სცენით, მუსიკისათვის, რომლისათვისაც, გერმანიიდან მოწვეულია ჯერ რუსეთში უნახავი

გერმანულ ქალ-ვაჟთა ორკესტრი (მთელი ოჯახობით),

რომელთა მონაწილენიც დამღერიან და უკრავენ როგორც სიმებიანისა, აგრეთვე ჩასაბერ („დუხოვოი"-ს) საკრავებზე

გ. ა ვ გ უ ს ტ ო ვ ი ს მეთაურობით.

მუსიკა დაუკრავს 11 აპრილიდან ყოველ-დღე 2 საათიდან საღამოს 6 საათამდე და ღამის 10 საათ.-დან 2 საათამდე.

ბაღში არის პირველ-ხარისხოვანი ბუფეტი, ყოველ-ნაირ ადგილობრივი და საზღვარ-გარეთულ სასმელებით, აზიურ-ევროპიული სამზარეულოთი, სადაც ყოველ წამს მოიპოვება ცოცხალი თევზი.

ვიკვეთავთ აგრეთვე სადილებსა და ვახშმებს.

(5—1223—5) „ედემი"-ს ბაღის პატრონი კ. ი. ბაქრაძე.

---

## შპალიერი

ძმ. ტარნოპოლთა ქარხნისა

ტფილისის განყოფილება

იმყოფება გოლოვინის პროსპექტზე, სახ. N 21, არტისტიულ საზოგ., ტელეფონი N 355.

საწყობში ყოველთვის ბლომად იმყოფება შპალიერი, რომელიც ქარხნის ფასებში იყიდება, 8 კაპ. 6 მ.-დე თოფი. ქარხანას აქვს საწყობები რუსეთის იმპერიის ყველა ჭდიდეს ქალაქებში.

შპალიერის ნიმუშები იგზავნება უფასოდ. (50—1120—12)

---

## ექიმი მ. ი. მინასიანცი.

შინაგან, ბავშვთა, კუჭისა და ნაწლავ. სნეულებათა, პარიზელ პროფ. Mathieu-ს სპეციალურ კლინიკიდან. ღებულობს დილის 9—11 ს.-დე და საღამოს 6—7 საათამდე.

ელისაბედის ქუჩა, N 39 ტელეფონი N 1067. (100—1117—46)

---

ელექტრონისა და რენტგენის

## სამკურნალო მიხეილ გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილ. 12—1 ს., საღ. 6—7 ს., კვირაობით კი მხოლოდ საღამოთი 6—7 საათამდე გაშინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყორღანოვის ქ., N 20. (0—6.—97)

---

## ექიმი ა. ნ. დიასამიძე

კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—1 ს. საღამ. 6—7 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ. N 4, სახლი ჯაპაშვილისა. (უ)

---

## ექიმი ე. ვაშაკიძე

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. გოგოლისა და ბატარეინის ქუჩების კუთხე N 24. 0—39

---

## ექიმი კბილისა ალ. სოლოღაშვილი

იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 ს. გოლოვინის პროსპ. N 12, სახლი მდივნისა. (უ)

---

## სამკურნალო

სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის. ანჩის დიდი ქუჩა, N 3. ალექსანდრესს ბაღის მახლობლად, ტელეფონი N 483.

ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ავადმყოფთა მიღება $9^1/_2$-დან 5 ს.-დე.

ი. მ. ახპიხოვი. ცხვირ., ყელ. და ყურისა. ყოველ-დღე 1—2 საათამდე.

ვნუკოვი—ქირურგ. ყოველდღე 12-1 ს.

დ. გრეიცი—თვალისა, ყოველ დღე 1—2 ს.-მდე.

მონსე—ბავშვთა, შინაგ. ავადმყ. ყოველ დღე, გარდა კვირა უქმისა $1^1/_2$—3 სათ.

ნოვიცკი—ბებია ქალებ., ყოველ დღე 1—2 ს.

კალამკაროვი—ქალის ავად. ყოველ დღე, გარდა ხუთშაბათისა, 12—1 ს.

უქლადნიკოვი—შინაგ. ავად. ყოველ-დღე 4—5 საათ.

რიდელი—შინაგ. ავად. და ბავშვ. ყოველ დღე, გარდა ხუთშ. და კვირისა 12—1 საათ.

თეთრაძე—სიფ., ვენერ., კან. ყოველ-დღე 1—3 საათ.

ჩუდნოვსკი ი. ნერვ., სულ., ელექტრო-ტერაპია, ყოველ დღე გარდა კვირა-უქმისა $11^1/_2$—$12^1/_2$ საათ.

სულაკოვი—ყოველ დღე, ქალებ. და საბებიო: 3 ნახ.—4 ნახ. საათ.

რუდენკო—შინაგ. ხუთშაბ. და კვირაობით 3—4 ს.

ვესელოვზოროვი ნ. ნ.—ქირურგ. ავად. ყოველ დღე 2—3 საათ.

იოხელიანისა—ქალ. ავად., ორშაბათ. ოთხშ., პარასკ., კვირა 11—12 საათ.

ლიმონი—კბილის ავად. ყოველ დღე 9—11 საათამდე.

დ. ა. მხიტარიანცი—სიფ., ვენერ., დილის 9 საათ. 10 ნახევარ ს. ყ.-დღე.

ყალამქაროვი—ნერ., ელექტრო-ტერაპ., ყოველდღე 2—3 საათ.

კუნთებში შეუშხაპუნებენ და ძარღვებში შეუშვებენ „606"-სს საღამოს 6—7 საათამდე.

კონსულტაცია, მასსაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძებისა და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით. სიფილისის (ათაშანგის) გამოკვლევა სისხლში პროფ. ვასსნარის შრატით. შარდის სადენთა ცისტოსკოპია და კატეტერიზაცია. (100—6.—80)

---

ვაგზლის კერძო

## სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავად მყოფთათვის.

ვაგზლის ქუჩა, N 8. ტელეფონი N 695.

ე. ს. ვაშაკიძე—ყოველ დღე, შინაგან ავადმყ. 9 ნახ.—10 ს.

ა. ნ. დიასამიძე—ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ., კანისა და ვენერ. 11—12 ს.

ბ. ა. პოპოვი—ყოვ. დღე, კვირ. გარდა. ყელი, ყური და ცხვ. სნეულ. 11—$11^1/_2$.

ვ. ს. სტანიშევსკი—ყოველ დღე, კვირის გარდა. შინაგანი ავად. $11^1/_2$—12 ს.

შ. ა. მიქელაძე—შინაგან და ბავშვთა ავადმყ. 1—2 ს.

ნ. მ. მელიქიშვილი — ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1—2 ს.

გ. ვ. სობოლევსკი—ქირურგ., ყოველ დღე, კვირის გარდა. 2—3 ს.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით

წამლობა „606"-ი (წო.—1090—39)

---

## ექიმი ვ. ს. მუსხელიშვილი

იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 9-დან 11-მდე ჯიროჯის ქ., № 9. (უ)

---

## ექიმი ჯაფარიძე

ქ. ქუთაისში

იღებს ყურის, ყელის, ცხვირის, ბავშვებისა და შინაგანის სნეულებით ავადმყოფებს ყოველ დღე. ტფილისის ქუჩა, სახლი თავ. ნიჟარაძისა. (თ.—188—48)

---

## ექიმი ქუთაისში, ს. ი. ვოლოხი

კათოლიკების ქუჩა N 33.

საზღვარ-გარეთიდან დაბრუნებისას იწყობს სიფილისის მკურნალობას 606 პრეპარატით ერლიხ ხატა. სიფილისის სისხლის გამოკვლევა ვასსერმანისებურათ საგანგებოდ მოწყობილ ლაბორატორიაში. წამლობა აგრეთვე ჰლექიანისა და საყმაწვილოსი სხვა და სხვა ტუბერკულინებით (ყოველ კვირა ახალ-ახალი პრეპარატებით). ბ.ბ. ექიმებს, როგორც ადგილობრივთ აგრეთვე ქალაქ გარეთელებისთვის, მოთხოვნისათანავე ეგზანებათ საგანგებო მესახვევებში სტერილიზაცია გაკეთებული ეპრუვეტები სისხლის გამოგზანისთვის ვასერმანისებურათ გამოსაკვლევად. (50—1078—39)

---

## ექიმი კბილისა ნინო რცხილაძე

იღებს ავადმყოფთ დილით 9—2 საათამდე. საღამ. 5—7 საათ. იზმაილოვისა ქ. N2.

---

## ექიმი შ. ა. მიქელაძე

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიანი ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ.—6 ნახ. საათამდის. კაზეთის ქ. ტელეფონი N 816.

---

## ვამზადებ მოწაფეებს

გიმნაზიის უმცროს კლასებისათვის. აგრეთვე: ფერშლის, სახელოსნო და სამოქალაქო სასწავლებლებისათვის. ადრესი: ჩერქეზოვის ქუჩა № 125. ნახვა 3—6 საათამდის. (3—556—3)

---

## სტუდენტები (ყოფ. ექსტერნ.) ამზადებენ ყმაწვილებს საშუალო სასწავლებლის ყველა კლასებისათვის, სიმწიფის მოწმობაზე, მასწავლებლობაზე და ლათინური ენის დამატებითი ეგზამენისათვის. აგრეთვე უსწორებენ გაკვეთილებს ხელმისაწვდომ ფასში. მისამართი: ანჩისხატის ქუჩა, სახლი № 18, ბინა № 1. (5—4)

---

## ტფილისი, 17 აპრილი

**რა ესაჭიროება წერა-კითხ. გამავრც. საზოგადოებას.** წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება ისეთი დაწესებულებაა, რომელსაც სამართლიანად განსაკუთრებულის ყურადღებით ექცევა თვითეული ქართველი. მართალია თანაგრძნობა ხშირად პლატონიურს საზღვრებს არა სცილდება, მაგრამ ესეც სასიამოვნოა, რადგანაც შესაძლებელია მომავალში მაინც ეს პლატონიური თანაგრძნობა ფაქტიურმა დახმარებამ შესცვალოს. ჩვენ ყოველთვის მოვიწვევდით ხოლმე ყველას, ვისაც კი ქართულს ეროვნულს საქმეებისთვის გული შესტკივა, აქტიური მონაწილეობა მიეღო წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების საქმეებში, დღესაც მოუწოდებთ საქმის მსურველთ. მაგრამ მაინც არ შეგვიძლიან არ აღვნიშნოთ, რომ „სახალხო საქმე" საკითხს ისე არ აყენებს, როგორც საჭიროა; „სახალხო საქმე" სწერს: „ჩვენი ინტელიგენცია ამ საზოგადოებას ეროვნულ მოქმედების ცენტრად სთვლის, მისი ბედით არის დაინტერესებული, სიტყვით მაინც, ფართო საზოგადოებაც. უკანასკნელ წლებში ამას მიემატა ფართო დემოკრატიული მასის ინტერესიც. ყოველივე ეს მეტად სასიამოვნოა, ხოლო მათ შორის ყველაზე საგულისხმიეროა მასის დამოკიდებულება, მისი მხრით გამოჩენილი დაახლოვების სურვილი". მაგრამ გაზეთს გული გასტეხია, რადგანაც საქმის მესვეურთ თურმე არ ნოუსურვებიათ მასის დაახლოვება. „ფართო მასის ლანძღვამ, — სწერს გაზეთი, — საქმის მეთაურები საგონებელში ჩააგდო და იმ თავითვე მტრულად დაუხვდნენ ამ მასას. ეს მტრული განწყობილება, გაზეთის აზრით, იმაში გამოიხატა, რომ საზოგადო კრებამ შესაძლოდ ვერ დაინახა საწევრო გადასახადის შემცირება. საქმის მესვეურნი მოხუცნი არიან ისინი თუ ახალ-გაზრდანი, დღესაც იმ თვალით უყურებენ ხალხს, დემოკრატიულ მასას, როგორც ეს შესაძლებელი იყო 30 წლის წინეთ და ვერ შეუგნიათ ის უბრალო აზრი, რომ ყოველ სახალხო საქმეში ხალხის თვით-მოქმედება საუკეთესო თავმდებია საქმის წარმატებისა."

გულ-მტკივნეულობით უნდა აღვნიშნოთ, რომ „სახალხო საქმე" სცდება. როგორც საზოგადოების მესვეურნი, ისე მათი ამომრჩეველნი ღრმად არიან დარწმუნებულნი, რომ საქმეს სწორედ ფართო მასის თვითმოქმედება გამოაცოცხლებს. სწორედ ამით ხელ-მძღვანელობდა ის ჯგუფი, რომელმაც წარსულ არჩევნების დროს წამოაყენა ლოზუნგი საზოგადოების საქმეთა დეცენტრალიზაციისა და კიდეც განახორციელა. ჩვენც ჩვენის მხრით მხურვალე დამცველნი ვიყავით საზოგადოების დეცენტრალიზაციისა. და თუ მიუხედავად ამისა, საზოგადო კრებამ მაინც არ მოისურვა საწევრო გადასახადის შემცირება, ამასაც თავისი გასამართლებელი სა-

ბუთები მოეძებნება. ერთ უმთავრეს მოსაზრებად ისიც უნდა ჩაითვალოს, რომ დღევანდელს პირობებში შეუძლებლად მიაჩნდათ ასეთი გადემოკრატება საზოგადოებისა. საფუძვლად ედო არა შიში დემოკრატიისა, არამედ სხვა რამ, და ამ მოსაზრების მიჩქმალვა საკადრისი საქმე არ არის. ესეც რომ არ იყოს, საწევრო გადასახადის შემცირება სრულიადაც არ არის დემოკრატიზმის მომასწავებელი. დემოკრატიზმი მარტო ის კი არ არის, რომ ფართო მასამ უფლება მიიღოს არჩევნებში მონაწილეობისა. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება კულტურული დაწესებულებაა და ერთს უმთავრეს წყაროს მის არსებობის სწორედ საწევრო გადასახადი შეადგენს. საზოგადოებას არ შეუძლიან შემთხვევით ხასიათის შემოსავალზე დაამყაროს თავისი მოქმედება. საზოგადოებისთვის საჭიროა მუდმივი, რეგულიარული წყარო არსებობისა და ასეთს წყაროდ კი მარტო საწევრო გადასახადი უნდა ჩაითვალოს. ხალხმა თავისი კულტურული დაწესებულებანი თვითონვე უნდა შეინახოს. ქველ-მოქმედებითი ხასიათი რამდენადაც კი შეიძლება უნდა დაეკარგოს კულტურულ დაწესებულებებს. თუ საწევრო გადასახადს მინიმუმამდე დავიყვანთ, როგორც ეს „სახალხო საქმე"-სა სურს, მაშინ საზოგადოებამ რით უნდა იარსებოს? სამი მანეთი წელიწადში არც ისეთი დიდი გადასახადია იმისთვის, ვისაც გულ-წრფელადა სურს ეროვნულ კულტურულ დაწესებულებას ემსახუროს.

რაიცა შეეხება იმას, თითქოს ფართო მასას სდევნიდეს ვინმე, ეს შემცდარია. ჩვენ ყოველთვის მოვიწოდებთ შეთანხმებისაკენ და ეხლაც იმ აზრისა ვართ, რომ წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაში უნდა სწარმოებდეს შეთანხმებული, დადებითი მუშაობა.

ჩვენს კულტურულ დაწესებულებებში ჯგუფობრივი ქიშპობა და უკიდურესობა არ უნდა არსებობდეს, მხოლოდ ეს არის საუკეთესო თავმდები საზოგადოების წარმატებისა. ვისურვოთ მხოლოდ, რომ საზოგადოების სათავეში მოჰყვნენ ისეთი პირნი, რომელთაც შეუძლიანთ მუშაობა, რომელთაც გულწრფელადა სურთ მუშაობა და რომელნიც ყოველ ღონის-ძიებას იხმარენ, რომ წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ ისე წაიყვანოს საქმე, როგორც ამას ჩვენი ხალხის კულტურული საჭიროებანი მოითხოვს.

# ახალი ამბები

## ტფილისი

✦ **მეაბრეშუმეთა ყურადღებოდ.** როგორც გადმოგვცეს, იმ ფირმების თესლის ნიმუშები, რომლებიც ამას წინედ მეაბრეშუმე ქუთათელაძემ აკრიფა დასავლეთ საქართველოს სხვა და სხვა დაბა-სოფლებში, ცუდი აღმოჩენილა. განსაკუთრებით უვარგისია **ჩანჩოზიანის** ფირმის თესლი, რომელიც ავადმყოფობა **პებრინითაა** დასნეულებული. ხსენებული ფირმის თესლი დამზადებულია ჩანჩოზიანის მიერ ეჩმიაძინის მონასტერში და ისყიდება ქუთაისში ვაჭარ აშიანცის მაღაზიაში, სამტრედიასა, ხონსა, აბაშასა, სენაკსა, ლანჩხუთსა და სხვა. ვურჩევთ მეაბრეშუმეთ, არ შეიძინონ ხსენებულ ფირმის თესლი და ვინც კი შეიძინა, არ უნდა გამოიყვანონ ჭია, რადგანაც ხსენებულ თესლის ჭია პებრინითაა დასნეულებული და არამც თუ პარკის შემოსავალს არ მისცემს მეაბრეშუმეს, არამედ სხვა საღი თესლის ჭიასაც დაუსნეულებს.

✦ **ერლიხის „606" სამხედრო სამკურნალოში.** როგორც სამხედრო სამკურნალოს ექიმის ა. ნ. თეთრაძის ანგარიშიდან სჩანს, სამხედრო სამკურნალოში ერლიხის „606" 200 ავადმყოფს უწამლინია. წამლობას კარგი შედეგი მოჰყოლია.

✦ **კახეთის რკინის გზა.** ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა რწმუნებულებს ამ ჟამად მოლაპარაკება აქვთ ინჟინერ რაციბორსკისთან იმის თაობაზე, რომ ამ უკანასკნელმა კახეთის რკინის გზის ალმაშენებლის მოვალეობა იკისროს. ბ-ნი რაციბორსკი დღემდე კახეთის რკინის გზის წინასწარ გამოკვლევათ ხელმძღვანელობდა.

✦ **ქალაქის საბჭო.** ხვალ, 18 აპრილს, ქალაქის საბჭოს ხმოსანთა მორიგი კრება მოხდება. საბჭო, სხვათა შორის, მოისმენს ა. ი. ხატისოვისა და სასანიტარო ექიმის სტეფანოვის მოხსენებას პეტერბურგში მოგზაურობის შესახებ და საკითხს ბუღალტერის მოწვევის შესახებ ქალაქს ბუღალტერიაში რეორგანიზაციის მოსახდენად.

✦ **კავკასიის სამკურნალო საზოგადოებაში.** 15 აპრილს სამკურნალო საზოგადოების წევრთა მორიგი კრება მოხდა, რომელმაც პირველად დაამტკიცა წარსულ კრებების ოქმები და შემდეგ დაადგინა, შეუერთდეს სრულიად რუსეთის დღესასწაულს „ჭლექის დღეს" და ეს დღე (20 აპრილი) ტფილისშიაც აღნიშნოს. ამ აზრით საზოგადოებამ ქალაქის სხვა და სხვა უბანში გასაგები ლექციები უნდა გამართოს ჭლექის შესახებ. ამას გარდა, უნდა გამოსცეს და ხალხში უფასოდ დაარიგოს პატარა წიგნები, რომელშიაც დაწვრილებით იქნება ჩამოთვლილი დარიგებანი ჭლექის შესახებ. ამავ კრებაზე მოსმენილ იქმნა რამდენიმე მოხსენება სპეციალურ ხასიათისა.

✦ **დასავლეთ საქართველოში მკაცრის ზამთრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოდ** ნამესტნიკის სასახლეში გამართულ რუსულ სასულიერო კონცერტის წმინდა შემოსავალი 1,512 მან. 75 კაპ. იყო.

✦ **კავკასიის უნივერსიტეტი.** როგორც „კავკაზ"-ს ყური მოუკრავს, ამას წინად გარდაცვალებულ შ.—ს 50,000 მან. **დაუტოვია** კავკასიის უნივერსიტეტის სასარგებლოდ.

✦ **ქალაქის მოურავთა კრება.** ტფ. ქალაქის გამგეობა მთავრობის წინაშე შუამდგომლობს, რათა მიმდინარე წლის 10 მაისს ტფილისში მოწვეულ იქმნენ კავკასიის ქალაქების მოურავთა კრება ხოლერისა და შავის ჭირის წინააღმდეგ ზომების შესამუშავებლად.

✦ **ჭლექთან მებრძოლ კავკასიის საზოგადოებას** აბასთუმანის სანატორიის მოსაწყობად ამ ჟამად 60,000 მანეთამდე ნაღდი ფული აქვს.

✦ **სახალხო სახლი** ძმ. ზუბალაშვილებისა. მკითხველებს მოვაგონებთ, რომ ხვალ სახალხო სახლში წარმოდგენილი იქნება შილლერის ტრაგედია „ყაჩაღები".

✦ „საx. საქმეს" პეტერბურგიდან სწერენ: პეტერბურგში ჩამოვიდა ცნობილი **გიორგი ამილახვარი**, თავის მცველი ინგუშებით და მოლაპარაკება გამართა მთავრობასთან მის მიწების შესყიდვის თაობაზე. მთავრობას უპასუხნია: სიამოვნებით შევისყიდდით შენს მამულს, ციციშვილების მიწების შესყიდვას რომ არ შევსდგომოდითო. გუშინ გადმოგვცეს, რომ მთავრობის დახმარებით ამილახვართან „დონის კაზაკთა საზოგადოებას" გაუმართავს მოლაპარაკება. ამ საზოგადოებასა ჰსურს შეისყიდოს ეს მამული და ზედ ნოვო-ჩერკასკის კაზაკები გადმოასახლოს. ამილახვრის მამული 35,000 დესეტინა ყოფილა და რამდენიმე ასი ათას მანეთს აფასებს. თუ საზოგადოებამ შეისყიდა, მაშინ, როგორც გადმომცეს, ის გლეხები, რომლებიც ახლა ამილახვრის მიწაზე სახლობენ, უნდა აიყარნენ. ისიც გადმომცეს, რომ თუ „დ. კ. საზ." ვერ მოურიგდა ამილახვარს, მაშინ ამილახვარი ითხოვს მიეცეს ერთი-ერთი მამული სახ. ბანკზე დარჩენილი შიდა რუსეთში, და სამაგიეროდ სახ. ბანკმა მისი მამული დაირჩინოს. ამაზე მთავრობა დასთანხმდება, თუ „დ. კ. საზ." ვერ მოურიგდება ფასზეო. ამილახვარს ისიც უთქვამს ვითომც, თუ ქართველები ახლავე 60,000 მ. მომცემენ, სხვა მერე მომცენ ნაწილ ნაწილად და თანახმა ვიქნებიო.

✦ შაბათს, 30 აპრილს ქართულ თეატრში დანიშნულია **თამარ ცბიერის სალიტერატურო გახამართლება.** თამარ ცბიერის **დამცველებად გამოდიან** თვითონ მცხოვანი პოეტი აკაკი და ნაფ. ვექ. ი. მაჭავარიანი; ბრალმდებელად ნაფ. ვექ. თანაშემწე ი. ცინცაძე (ია ეკალაძე); სასამართლოს თავმჯდომარედ ნაფ. ვექ. გ. გვაზავა, მსაჯულებად ქართველი მწერლები.

✦ **ე. გაბაშვილის საიუბილეო საღამო** 1 მაისს გაიმართება ქართულ თეატრში.

✦ **გამოვიდა** გასასყიდად და ხელის მომწერლებს დაურიგდებათ **ე. გაბაშვილის თხზულება.** ფასი 1 მ. 20 კ.

✦ **ახალი ქართული გაზეთი.** 16 აპრილიდან ტფილისში გამოდის ქართულ ენაზე ახალი ყოველ დღიური გაზეთი „სახალხო საქმე".

✦ როგორც პეტერბურგის დეპეშათა სააგენტო იტყობინება, **კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველს** რეინის ოლქიდან 300,000 სანერგე ტირიფი გამოუწერია. ეხლა, განსაკუთრებულ ინსტრუქტორის ხელმძღვანელობით ამიერ-კავკასიის სასწავლებლებში ტირიფებსა ჰნერგავენ.

**ბაქოდან** იგივე სააგენტო იტყობინება, რომ რუსის მოსაზღვრე ჯარებს და სპარსელ ყაჩაღებს ლენქორანის მაზრაში სროლა ჰქონიათ. დაჭრილია 10 ყაჩაღი, მოკლული—5.

✦ **სოხუმის ქალაქის საბჭოს** ხაზინისათვის 10.000 მან. უთხოვია. ეს ფული სახადთან საბრძოლველად და დრანდისა, ახალ-ათონის და სხვა მონასტრების კასასუფთავებლად უნდათ.

✦ გუშინ სომხთა ნერსესიანის სემინარიაში გადახდილ იქმნა მასწავლებლის მისაკ ასლიანის 20 წლის პედაგოგიურ მოღვაწეობის იუბილე, რომელსაც დაესწრნენ სამხურ საზოგადო დაწესებულებათა წარმომადგენელნი.

—

**შეცდომის გასწორება.** გუშინდელ ნომერში დაბეჭდილ ფელეტონში შეგვეპარა შემდეგი შეცდომები.

7 სვეტი. არის „თამბა", უნდა იყოს „თფობა".

14 სვეტი. არის—რომ ზმნები: **ვდგევარ**, ვყავარ, უნდა იყოს: რომ ზმნები: **ვდგავარ**, ვჯავარ, ვყავარ.

## ქუთაისი

✦ **დეპუტატთა საკრებულომ** გუბერნატორს თხოვნით მიმართა, დახმარება აღმოგვიჩინე დეპუტატთა საკრებულოს შესანახად თავად-აზნაურობაზე გაწერილ ხარჯის აკრებაშიო. გუბერნატორმა პოლიციას დაავალა, შესაფერი ზომები მიიღოს. როგორც წინადაც გვქონდა მოხსენებული, ასეთი გადასახადი მარტო თავად მინგრელსკიზე 40,000 მანეთია.

✦ **მთავრობის გიმნაზიამ მიიღო განათლების მინისტრის ცირკულიარი**, რომელიც ავალებს ექსტერნებს, ახალ ენების (ფრანგული და გერმანული) წერაშიაც გამოიცადონ. აქამდე ასეთი გამოცდა სავალდებულო არ იყო და ამიტომ მოულოდნელი განკარგულება დიდ გაჭირვებაში ჩააგდებს ახალ-გაზდობას.

✦ **სამოსწავლო ოლქის მზრუნველმა ნება დართო 14 მოსწავლეს**, რომელთაც დაამთავრეს ალ. ეზიკოვის კერძო სასწავლებელი, სიმწიფის მოწმობის მისაღებად ეგზამენი ბათუმის გიმნაზიაში დაიჭირონ.

✦ 9 აპრილს, საღამოს 8 საათზე, იაკობ კეს-ოღლის ფურნეში, ძველ ტფილისის ქუჩაზე, **ორი უცნობი რევოლვერით შეიარაღებული შევიდა.** ერთი კარებშივე გაჩერდა, მეორე შიგნით შევიდა და რევოლვერი დასცა. სროლაზე დარაჯი გაჩნდა მსროლელის შესაპყრობად, მაგრამ კარებში მდგომმა ესროლა მას და წელში მძიმედ დასჭრა. ბოროტ-გამზრახველნი მიიმალნენ. დარაჯი საავადმყოფოში გაგზავნეს.

✦ **ალ. კავსაძეს** ქიათურაში მომღერალთა გუნდი შეუდგენია და ზესტაფონსა და ქუთაისში კონცერტების გამართვას ფიქრობს. („კოლხიდა").

# ქუთაისის ავ-კარგი

ქუთაისი სულ სხვა ქალაქი იქნებოდა, რკინის გზის მაგისტრალს რომ არ აეცილებინათ. პირველად რომ გზა გაჰყავდათ ფოთიდან ტფილისს, მაშინ ჩვენს ქალაქს პატრონი არ გამოუჩნდა და აჯამეთის მამულის პატრონებმა კი იმდენი მოახერხეს, რომ გზა ააცდინეს არა თუ მარტო ქუთაისს, არამედ მრავალ სოფელს, რომელიც ეხლაც შორიდან შეჰყურებს რკინის გზას; ხოლო ეს უკანასკნელი ზესტაფონიდან დაწყებული სამტრედიამდე — ეხლაც კი ცარიელ-ტარიელ ადგილზე მიექანება.

გარიყული სოფლები უპატრონობისა კამ... ეხლაც სდუმან. ქუთაისი მას აქეთ, რაც თვითმმართველობა დაარსდა, ყოველი შემთხვევით სარგებლობს, რომ აღნიშნოს ის უსამართლობა, რომელიც მას წილად ხვდა რკინის გზის გაყვანის დროს, და რამდენადაც შეუძლია, სცდილობს რკინის გზის მაგისტრალს დაუახლოვდეს.

ერთმა ამნაირმა ცდამ, თუ არა ვცდები, წყალ-დიდობის შემდეგ უნაყოფოდ ჩაუარა. წყალ-დიდობამ სრულებით გაანადგურა რკინის გზის ლიანდაგი, ხიდები და რაც ამის აღდგენაზე აღიძრა ლაპარაკი, მაშინ ქუთაისმა კვლავ გაახსენა მთავრობას, რომ რკინის გზა თავისთვისაა და მის არსებობით დაინტერესებული, მჭიდროდ დასახლებული ადგილი, თავისთვის; და მოითხოვა ლიანდაგის მიმართულება შეცვლილიყო.

მაშინ, როგორცა ვსთქვით, არ შეისმინეს ქუთაისის სამართლიანი თხოვნა; ეხლა კვლავ ეძლევა შემთხვევა ჩვენ თვითმმართველობას, ხმა აამაღლოს რკინის გზის მაგისტრალთან დაახლოვების შესახებ.

აზრადა აქვთ შავი ზღვის მომავალი რკინის გზა სოხუმიდან ზუგდიდით სენაკამდის მიიყვანონ. ქუთაისი კვლავ განზე დარჩება იმ დროს, როცა შესაძლებელია იგივე გზა ზუგდიდიდან რიონით ქუთაისზე გაიყვანონ და ამ ნაირად მაგისტრალს დაუახლოვონ.

ასეთი მიმართულება, რასაკვირველია, რკინის გზის გაკეთებას გააძვირებს, რადგან შედარებით გაგრძელდება იგი, მაგრამ თუ მივიღებთ მხედველობაში იმ გარემოებას, რომ ასეთი გზა მჭიდროდ დასახლებულსა და მდიდარ ადგილებზე გაივლის, უნდა დავსკვნათ, რომ ეს სასარგებლოა, რადგანაც მეტს შემოსავალს მისცემს რკინის გზას.

ეს ჰქონდა მხედველობაში ქუთაისის თვითმმართველობას, როცა აღძრა შუამდგომლობა, რომ შავი ზღვის გზა ეხლა მაინც არ ასცილებოდა ქუთაისს.

ჯერ-ჯერობით თვალ-საჩინო ამ საქმეში არა გაკეთებულა რა, მაგრამ უნდა ვიფიქროთ, რომ ქალაქის გამგეობა და ხმოსნები ყოველ ღონეს იხმარებენ, რომ ეხლა მაინც აღადგინონ ქუთაისის უფლება.

***

ამის იმედს ისიც გვაძლევს, რომ ქალაქის ახალი თავი, დიდის ენერგიით შეუდგა თავის მოვალეობის ასრულებას.

დიდი ხანი არ არის, რაც იგი თავობს და დაუკვირვებელი კაციც-კი შეამჩნევდა, რომ ქალაქს პატრონი გაუჩნდა—დამყარდა წესიერება თვით ქალაქის გამგეობაში, ფულის გაღებაში შინ-ჩემობა მოისპო, ქუჩებს, რამდენადაც-კი ეს შესაძლებელია ქუთაისში, სისუფთავე დაეტყო; ეზოებს თვით ბ-ნი ჩიქოვანი ათვალიერებს და სასტიკად ითხოვს სახლის პატრონთაგან, რომ მათ ეზოები სუფთად შეინახონ; ხელქვეითებს უჩვენებს მაგალითს შრომისას და სხ. ყველა ეს თავდებია იმისა, რომ ჩვენს ქალაქს გაუმჯობესება დაეტყობა.

***

ქუთაისის ქართული დრამატიული საზოგადოება დავალიანდა; ორი

# ნახვამდის!

როს მამულს ვუთხრა: „გტოვებ, მშვიდობით"!
გულმა საბრალოდ ცრემლი დაჰღვაროს;
სხვამ მის გარეშე გარდახვეწილსა
ვერ მცეს ნუგეში, ვერც გამახაროს.
ჩემო სამოთხევ, სამშობლო მხარევ,
შენი ვარ ჰანგი გამოძახილი;
შენთან ცოცხალვარ, მსურს შენს კალთაზე
მექმნას სამარე შავად გათხრილი.
მახსოვს ყრმობის ჟამს დავნავარდობდი,
თავს. მეფედ ვგრძნობდი გადაშლილ ველად;
ვიმეგობრებდი მინდვრის ყვავილებს,
მათვე ვუმღერდი ხმა-სანატრელად.
ცივ-გომბორისა ერთს მთა-გრეხილზე
ვხედავდი შველსა ნორჩსა მთრთოლვარეს,
სიო საამოდ უგალობებდა
ბორცვიდან ბორცვზე კვირცხლად მოარეს.
იმ დილის სხივსა მაცოცხლებელსა,
ჩემს ვერხვს რომ ადრე აძლევდა სალამს;
ნისლსა ფერმკრთალსა მაღალ ქედისას
ვინ აღმართვიდა თეთრ-სპეტაკს ალამს,
იმ ალაზანსა, სად ჩემი სახე დანაღვლებული იხატებოდა;
იმ ტაძარს წმინდას, სად მსხვერპლი წმინდა
წინაპართაგან იწირებოდა,
იმ არეს ფურჩვნილს, ყვავილოვანსა,
სად სულის სატრფო მელიმებოდა,
ვერ დავივიწყებ, ვიდრე სძგერს გული,
ვერც უთხრას ენამ: „გტოვებ, მშვიდობით!"
მხოლოდ „ნახვამდის", ჩემო მამულო,
კვლავ გიგონებდე შორს მყოფი ტრფობით!

ა. ზანზიაშვილი.

# კრიტიკული შენიშვნები

## 2.

### შემოქმედება და დაფასება.

არსებობს ძველზე-უძველესი დავა, თუ რას წარმოადგენს ხელოვნება, ან რას უნდა ემსახურებოდეს იგი. ზოგი იმ აზრისაა, რომ ხელოვნება თვით ხელოვნებისათვის უნდა იყოს. მეორეთა წარმოდგენით კი ხელოვნება ცხოვრებას უნდა ემსახურებოდეს. უკიდურესი განვითარება პირველ აზრისა მიგვიყვანს იქამდის, რომ ხელოვნება სრულიად ჩამოშორდება სინამდვილეს, მეორე აზრის განვითარება კი გააძლიერებს უტილიტარულ შეხედულებას ხელოვნებაზე. ხელოვნება კი არც ერთს მიზანს უნდა ემსახურებოდეს, არც მეორეს, ან უკედ რომ ვსთქვათ, ორივე მიზანს უნდა ემსახურებოდეს ისე, რომ არც ერთს არ მისცეს უპირატესობა. შემცდარია, როდესაც ამბობენ, ხელოვნება თვით ხელოვნებისთვის უნდა არსებობდესო. ვინც ასე ჰფიქრობს, ის ერთმანეთს უპირისპირებს ხელოვნებას და ცხოვრებას, როგორც ერთი მეორისაგან განსხვავებულ რამეს. ნამდვილად კი ეს ასე არ არის. ხელოვნება იგივე ცხოვრებაა. ხელოვნება ცხოვრებამ წარმოშობა, მის წიაღში განვითარდა. ხელოვნება ერთი უდიდესი და უმნიშვნელესი გამოხატულებაა ცხოვრებისა, სიცოცხლისა. ასეთი შეხედულება ხელოვნებაზე დაჰბადა არა ხელოვნების ისტორიის მეცნიერულმა განხილვამ, არა თეორეტიულმა განხილვამ იმისა, თუ რანაირი ფსიხოლოგიური საფუძველი უდევს ხელოვნების წარმოშობას, არამედ იმან, რომ გავრცელდა უტილიტარული შეხედულება ხელოვნებაზე. უტილიტარიზმმა კი გააძლიერა სენტენციები, ხელოვნება გარდაიქცა განსაზღვრულ ტენდენციების გამომსახველად და ამით დაჰკარგა ის ნიშნობლივი თვისებანი, რომლებითაც იგი განსხვავდება ადამიანის სულიერ ცხოვრების სხვა დარგებიდან.

ის დავა, რომელზედაც ზევით ვლაპარაკობდით, იარსებებს იქამდის, სანამ უმართებულოდ დაუპირისპირებენ ერთმანეთს ხელოვნებას და ცხოვრებას. მაგრამ თუ უცილობელ ჭეშმარიტებად ვაღიარებთ იმ აზრს, რომ ხელოვნება იგივე ცხოვრებაა, მაშინ ზემოხსენებულ დავასაც ადგილი არ ექნება. ადამიანი ჰქმნის ხელოვნურ ნაწარმოებს არა იმიტომ, რომ **სარგებლობა** მოუტანოს ვისმეს, არამედ მხოლოდ იმიტომ, რომ ესთეტიურ სახეთა სურათების წარმოშობა და განცდა განუყრელი ნაწილია ადამიანის სულიერ ცხოვრებისა. ყოველი ადამიანი ხელოვანია, ყოველს ადამიანში არსებობს სურვილი ესთეტიურს განცდისა. რამდენადაც კულტურულ განვითარების უმაღლეს საფეხურზე სდგას ადამიანი, იმდენად ინტენსიური და მრავალ-ფეროვანია ესთეტიურ შემოქმედებისა და განცდის საშუალებანი. როგორც გონების გამჭრიახობით, ინტელექტის სიძლიერით განსხვავდებიან ადამიანები ერთმანეთისაგან, ისე ესთეტიურს გრძნობის სიძლიერითაც. ესთეტიურ განცდის საგნად კი მხოლოდ **სილამაზე** უნდა ჩაითვალოს ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით— სილამაზე ხორციელი და სულიერი. გრძნობას სილამაზისას განიცდიან განვითარების დაბალ საფეხურზე მდგომი ცხოველებიც კი. ეს თანდაყოლილი გრძნობაა ყოველგვარ გრძნობისა. პირუტყვებში გრძნობა სილამაზისა თავს იჩენს ხოლმე განსაკუთრებით **სქესობრივ შერჩევის** დროს. ამის საუკეთესო სურათს გვაძლევს შექსპირი თავის „ადანის და ვენერა"-ში, სადაც გენიოსურის მხატვრობითაა წარმოდგენილი სქესობრივი დამოკიდებულება ცხენებისა. პირველ-ყოფილ ადამიანის ცხოვრების შესწავლა ნათლად დაგვანახვებს, თუ რამდენად ძლიერია გრძნობა სილამაზისა განვითარების პირველს საფეხურზე. ადამიანი სხვა და სხვა საშუალებით ირთავდა თავის ტანს გაცილებით იმაზე ადრე, ვიდრე შემოიღებდა ტანისამოსს, როგორც აუცილებელ საჭიროებას. პირველ-ყოფილი ადამიანი ამშვენიერებს, რამდენადაც კი შეუძლიან, თავის იარაღს, რომელიც მას არსებობისთვის სჭირდება. იარაღი ესთეტიურ ტკბობის ერთ-გვარს საშუალებადა ხდება. ესევე შეიძლება ითქვას მოძრაობაზე. მხეცი მოძრაობს იმიტომ, რომ ამას მოითხოვს ბრძოლა არსებობისთვის. მაგრამ, როდესაც იგი დაკმაყოფილებულია, იგი მოძრაობს თვით მოძრაობისთვის, ხტუნაობს, ცელქობს, უკეკლუცდება ან თავის თავს, ან გარემოცულ სინამდვილეს.

განვითარებული ცხოვრება გვაძლევს განვითარებულ ესთეტიურ განცდის საშუალებებსაც. მაგრამ როგორიც უნდა იყოს ეს საშუალებანი, მათ მაინც მჭიდრო კავ-

წლის განმავლობაში მას თავზე დაატყდა 6400 მანეთი ვალი. ასეთი ფაქტი სასურველი არ არის ისეთი ღარიბი საზოგადოებისათვის, როგორიც დრ. საზოგადოებაა.

ეს გარემოება ბევრს საბაბს აძლევს დრ. საზ. გამგეობის მოღვაწეობის ნაყოფიერება უარჰყოს. კაცს ეგონება, თითქოს დრ. საზ. მიზანი ის არის, რომ წლიდან წლამდის ის გააკეთოს, რის ნებას საშუალება მისცემს და საერთო კრების წინაშე წარდგეს წმინდად და უვალოდ.

ჩვენის ფიქრით, ასეთი შეხედულობა შემცდარია. ქართული თეატრი ჯერ ისე არ არის მოღონიერებული, რომ თავისივე შემოსავლით შეინახოს თავი. მას ყოველთვის დასჭირდება დახმარება.

ტფილისის თეატრი ამ მხრით უკეთეს პირობებშია. იქ ამ კულტურულ საქმეს თავად-აზნაურობა ეხმარება, აქ კი თეატრს იმასაც კი უსაყვედურებენ, რომ ქალაქმა თავის შენობა, თეატრად წოდებული, იჯარით მისცა ქარ. დრ. საზ., რომელსაც რაც შეიძლება წესიერებაში მოჰყავს თეატრი. თუ ეს დახმარებად ჩაითვლება, სხვა ამის მეტი დამხმარე ქუთაისის თეატრს არა ჰყავს, თუ მხედველობაში არ მივიღებთ წევრთაგან შემოტანილ წვლილს.

ასეთი საშუალებით დრ. საზ. გამგეობა ფართოდ ვერ დააყენებდა საქმეს, საზოგადოების დახმარების იმედი რომ არა ჰქონოდა. ამაზე დამყარებულმა, მან მოიწვია წლიური რეჟისორი, რაც საქმის წესიერად მსვლელობისთვის აუცილებლად საჭიროა. წინანდელ ზამთრის სეზონს ზედ დაერთო დიდ-მარხვისა და გაზაფხულის სეზონი და ხუთი თვის მაგიერად, ქართველი არტისტი 10 თვის განმავლობაში მაძღარია; ჯამაგირები არტისტებს მიუმატა და დასი იმდენად სრული შეადგინა, რომ შესაძლებელი შეიქნა რთული პიესების დადგმა ქართულ სცენაზე საკუთარის ძალებით. სცენაც, რაც კი გაეწყობა ქუთ. თეატრს, მოაწყო და ყოველივე ამან ქართულ წარმოდგენებს ნდობა მოუპოვა საზოგადოებაში.

ამისთანა პირობებში 6400 მან. ვალი დიდს არაფერს წარმოადგენს, თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებასაც, რომ წრეულს დიდი ზამთრის გამო იანვრისა და თებერვლის განმავლობაში დრ. საზ. ხარჯს ეწეოდა; საზოგადოებას კი თეატრში სიარულის დიდი სურვილიც რომ ჰქონოდა, ვერ ესწრებოდა წარმოდგენებს. მარტო ამ ორი თვის ზარალი 3000 მანეთი იქნება, და რაღა საკვირველია 6400 მანეთი. მაგრამ ჩვენ ასე ვიცით, თუ არაფერს აკეთებ, ამას ხომ გიკიჟინებენ და თუ გააკეთე რამე და საქმესავე გასაუმჯობესებლად დაახარჯე ფული, მაშინ ამასაც მომაკვდინებელ ცოდვად ჩაგითვლიან.

მიუხედავად ამისა, ჩვენ იმედს არა ვკარგავთ, რომ დრ. საზ. გამგეობა არ შეუშინდება ვალს, გამოსძებნის საშუალებას ვალის გასასტუმრებლად და ისეთი ენერგიით და საქმის ცოდნით გაუძღვება ქართული ხელოვნების აღორძინების საქმეს, როგორც აქამდის. შრომა და საქმის სიყვარული თავის ნაყოფს მოიტანს.

ი. ქ. ქ.

# თათბირი

## კავკასიის უნივერსიტეტის გამო

(შთაბეჭდილებანი)

კავკასიის უნივერსიტეტის ყოფნა-არყოფნის საკითხი თან და თან დაბოლოვებას უახლოვდება. მაისში მოხდება საუწყებათაშორისო კრება, სადაც საბოლოოდ გამოირკვევა იგი. მაგრამ, როგორც 4 აპრილს მომხდარ კრების ბაასიდან გამოირკვა, მას ჯერ კიდევ ბევრი დაბრკოლება ელობება წინ. როგორც თ-დ თუმანიშვილის მოხსენებიდან სჩანს, საშუალებათა გამომძებნმა კომისიამ ხუთის წლის განმავლობაში მხოლოდ 1,491,500 მანეთი შეკრიბა ერთ-დროულ დახმარებად და 56,300 მანეთი—ყოველ-წლიური დახმარებად. ზოგიერთი ამ დახმარებათაგანი არა საიმედო გამოდგა, მაგალითად: ნავთის მრეწველთა კრება დაჰპირებია 17 ათას მანეთს და ეხლა კი ამ თანხის გამოღებაზე უარს ამბობს, რადგანაც ოთხი წლის განმავლობაში შემოსავალი ძლიერ შემცირდა და გასავალი კი, პირიქით, გადიდდა. გარდა ამისა, საეჭვოა ბაქოსაგან 50,000 მანეთის მიღება, რადგანაც ბაქოს ქალაქის გამგეობა მხოლოდ იმ შემთხვევაში იღებს ამ თანხას თუ უნივერსიტეტის გახსნისათვის ხარჯს ერთიანად მთავრობა იკისრებს. ამას გარდა დაბრკოლება სამინისტროშიაც არის, იქ ოთხი ქალაქი თხოულობს უნივერსიტეტის გახსნას: როსტოვი, ეკატერინბურგი, მაკარია და ომსკი. ძნელი სათქმელია, რომელს მათგანს მიეცემა უპირატესობა. სამინისტრომ თუ მხედველობაში არ მიიღო ის გარემოება, რომ კავკასიაში უნივერსიტეტის გახსნის საკითხი უკვე ორმოცი წლის წინედ აღიძრა, და წელს კი საჭირო თანხაც გაცილებით მეტი აქვს ტფილისს ვიდრე სხვა ქალაქებს, აგრეთვე ისიც, რომ მთელ კავკასიას, რომელიც სწავლის ბეგარას თუ მეტს არა. სხვა მხარეების ოდენას მაინც იხდის, მაშინ, რასაკვირველია საკითხმა შეიძლება ჩვენთვის არა სასურველი მიმართულება მიიღოს. სამინისტროს აზრით ესეთი ტიპის უნივერსიტეტი, რომელიც კავკასიაში ჰსურთ დაარსონ—ახალია, რადგან საბუნების-მეტყველო ფაკულტეტი ტეხნიკური განყოფილებით სხვა უნივერსიტეტში არ არსებობს, და, შეიძლება, დაბრკოლება ამანაც გამოიწვიოს. სამინისტრო ამბობს, რომ უნდა გამოკვლეულ იქნას: დააკმაყოფილებს თუ არა ასეთი ტიპი ხალხის მოთხოვნილებასო და მეორეც, სასურველი იქნება თუ არა მთავრობისათვის ახალი ტიპის უნივერსიტეტიო. კომისიას კი, ბაბოვის სიტყვით, არ ძალუძს გახსნას ყველა ფაკულტეტები. თანხა შეიძლება გადაიდოს მხოლოდ საბუნების მეტყველო ფაკულტეტისათვის ტეხნიკური განყოფილებით, რომელიც სწორედ ეთანხმება ხალხის ეხლანდელ მოთხოვნილებას. ა. ხატისოვის სიტყვით, სამინისტროს ის აზრიც გამოუთქვამს, რომ ფინანსიური მხარე ამ საკითხში არ არის იმდენადაც მნიშვნელოვანიო. იმას კი არ უნდა მივსდიოთ რაც იაფია, არამედ მას, რაც გამოსადეგია კუთხისათვის და სამეფოსათვისაო; მაგრამ უეჭველად საჭიროა ნამდვილი სმეტა და არა ისეთი, როგორც ნოვოჩერკასკმა წარმოადგინაო. ნოვოჩერკასკის სმეტა არ აღემატებოდა 1 მილიონ მანეთს, მაშინ როდესაც ნამდვილად პოლიტეხნიკუმის დაარსება 2 მილიონი დაჯდა. ქალაქმა სთქვა, რომ აქვს თანხა 700,000 მან. მაშინ როდესაც ნამდვილად 350,000 მან. აღმოჩნდაო. სრულიად ვეთანხმებით ბ. სტრატონოვის აზრს, რომ ამ საქმეში პირდაპირობა სჯობია. ქალაქის შეწირულება 200 დეს. მიწა უნდა განაღდებულ იქნეს. და საბოლოოდ გამოირკვეს თანხა, რომელიც შეუძლიან გადასდოს კომისიამ უნივერსიტეტის გახსნისათვის. შემოწირულებანი პროვინციებიდან სრულიად უმნიშვნელო ყოფილა. ბ. ჟურულის აზრით ეს იმის ბრალია, რომ პროვინციაში ამ საქმის ორგანიზაცია კარგად არ იყო მოწყობილი. ამას ბ. ჯოპჩიბაშევიც ამოწმებს და ამიტომ გამოითქვა ის აზრი, რომ ეხლავე შეუდგნენ პროვინციაში შემოწირულებათა შეკრებას. რაც უნდა ბევრი შეიკრიბოს თანხა, მაინც ორ-მილიონს ვერ აღემატება და ეს კი არ არის საკმარისი უნივერსიტეტის შენახვისათვის. საჭიროა სხვა ღონისძიება, რათა ეს საკითხი სამუდამოდ არ გადაიდოს. თუ ნამესტნიკის დახმარება კიდევ ისე ექნება, როგორც ამდენხანს, მაშინ შეიძლება იმედი ვიქონიოთ, რომ უნივერსიტეტი გვექნება. აგრეთვე საჭიროა პრესისა და საზოგადო დაწესებულებათა მუყაითობა-დახმარება წყაროების აღმოჩენაში. თათბირიც ამ აზრს დაადგა და ვნახოთ მომავალი რას მოგვიტანს. ჯერ-ჯერობით კი მაინცა და მაინც დიდი იმედიანობა არა გვმართებს.

# მოწერილი ამბავი

**ქ. დუშეთი.** დაგვიდგა გაზაფხული, დაიწყო წვიმები, და ჩვენს კურთხეულ დუშეთშიც „ტლაპოს სეზონი" გაიხსნა. ქალაქის თვითმმართველობის მეცადინეობით, ჩვენი ქუჩების უმეტესი ნაწილი ისეთ საშინელებას წარმოადგენს, რომ ბეწვის ხიდზე სიარული არა მგონია უფრო საშიშ-საფრთხილობელი იყვეს, ვიდრე ამ ქუჩებზე. ეს ხომ დიდი ხანია ასეა, მაგრამ საქმე იმაშია, რომ ქალაქის „მამებიო" გაკეთების მაგიერ, ხშირად აფუჭებენ საქმეს: ამ დაღლოცვილებმა თავს იდეს პლასტუნთა ბატალიონის ბინისაკენ ქალაქის წყაროდან წყლის გაყვანა; ამ მიზნით ამ წყაროდან პლასტუნთა ყაზარმებამდე, ქუჩებზე დათხარეს ჭები, ვითომდა ძველი წყლის მილის შესასწორებლად, მაგრამ აგერ რამდენი ხანია რაც მუშაობა შესწყვიტეს და თავი მიანებეს პირღია ორმოებს და მიწას. ეს ორმოები ეხლა წყლით აივსო.

არ იყო წარსული წელი მწყალობელი გლეხისთვის: გვალვა, სეტყვა, ხოლერა, საქონლის ჭირი, ყოველივე უბედურება ზედი-ზედ დაატყდა თავს ბედის გერს, მაგრამ, როგორც სჩანს, არც მიმავალი წელიწადი უმზადებს მას ნეტარებას: ახალწლამდე აქ თოვლი არ მოსულა, რის გამოც ბევრგან მინდვრებში აუარებელი თაგვი გაჩნდა. ხმელმა ყინვამ დიდი ზიანი მიაყენა მევენახეთ, რადგან ვაზების ნახევარზე მეტი მთლად გადამხმარა და ძირამდე უნდა გადაიჭრას. გლეხმა მევენახემ რამდენიმე წელი უნდა შესწიროს, ვიდრე ვაზი კვლავ ამოიყრის ყლორტებს და შეეძლება ნაყოფის გამოტანა...

ამერ-იმერი.

# დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

15 აპრილი.

## საზღვარ-გარედ.

**პარიზი.** ჰავასის სააგენტოს ტანჟერიდან ატყობინებენ, ხმა დავარდა, ვითომც ბრემონი გარდაიცვალაო. ამ ხმის დამოწმება შეუძლებელია.

**ხანკოუ.** ხუბეის პროვინციის მცხოვრებლებმა პეკინში მიმავალი სათათბირო კომიტეტის თავმჯდომარე გააცილეს. მცხოვრებლებმა დააბარეს, საკონსტიტუციო პარტიის საგანგებო კრების მოწვევა დააჩქარონ, რათა მან მთავრობასთან ერთად ჩინეთის ახლანდელი მდგომარეობა განიხილოს. ვაგზალზე მოსწავლენი და ახლო-მახლო სოფლელები ბაირაღებით შეიკრიბნენ; მოხელენი არ დასწრებიან.

**ტოკიო.** ჩინეთის სესხი პრესას აღელვებს. „ჯიჯი-შინპუს" პეკინიდან დეპეშით ატყობინებენ, რომ სესხის ხელ-შეკრულებაში რამდენიმე საიდუმლო მუხლია. „ხოჩი" იტყობინება; იაპონიამ ჩინეთს თავისი ფინანსიური მრჩეველი შესთავაზაო. მთავრობამ იაპონელ კერძო კომპანიებს ორი ჯავშნოსანი გემი შეუკვეთა. რაკი ხმა გავრცელდა, რომ კაბინეთი შეიცვლებაო, კონფერტიროვანულმა ვალმა ნახევარ იენზე დაიწია.

**ტანჟერი.** გენერალი მუნიე თავის რაზმით 14 აპრილს რაბატში მოვიდა. როგორც ჰავასი იტყობინება, 10 აპრილს ბრემონი თავისი ჯარით სიდი-მალეკ-ბენდეხამდის მიაღწევია იმისდა-მიუხედავად, რომ მტერი თოფს ესროდა.

**პარიზი.** მთავრობასა ჰგონია, რომ ბრემონის გარდაცვალება ტყუილი უნდა იყოს.

რკინის გზის მუშათა ნაციონალურ სინდიკატმა გადასწყვიტა, 6 მაისს კომპანიის გადაწყვეტილებისა და პროვინციების 114 მიტინგის საპროტესტოდ დიდი მიტინგი გამართოს. მუშათა კავშირის სინდიკატს ჰსურს, 1 მაისისათვის მანიფესტაცია მოახდინოს.

**კანტონი.** რევოლიუციონერებმა ვიცე-კოროლის სადგომის გარდა 50 სხვა სახლი გადასწვეს. 70 ჯარის კაცი აჰკუწეს. გონკონგოსკენ გემთა მიმოსვლა შეწყვეტილია. ჯარებმა აჯანყებულებზე იერიში მიიტანეს და რამდენიმე კაცი მოჰკლეს. ერთი პოლკოვნიკი დაიჭრა. მრავალი დაატუსაღეს.

**გირინი.** გუბერნატორმა ტახტისადმი მოხსენება წარადგინა და ითხოვა: ახლად აღებულ სესხიდან გირინ-ხუნჯუნის რკინის გზის გასაყვანად ფული გადასდეთ, რომ ამ რიგად რუსეთის გავლენა შეავსუსტოთო.

**ურმია.** ოსმალელ თურქებში აგიტაციას ეწევიან. ჰსურთ, რომ ავტონომიის მოსაპოვებლად აჯანყება გამართონ. აგიტაციას ევროპიდან დაბრუნებული შეიხი აბდულ-იზაბეი ეწევა.

**პარიზი.** მინისტრთა საბჭომ დაადგინა, აიკრძალოს ყოველნაირი მანიფესტაციები, რომელიც 1 მაისს გაიმართება.

**ტანჟერი.** საფრანგეთის საელჩოს აგენტი სცდილობდა ბრემონის ჯარისათვის სურსათი მიეტანა, მაგრამ სურსათიანად აჯანყებულთ ხელში ჩაუვარდა. ეშინიათ, რომ აგენტს ცუდი არა შეემთხვეს-რა. პოლიცია მიეშველა. ბრემონი ფეცისაკენ დაბრუნდა.

**ლონდონი.** ის ხმები, ვითომც იზვოლსკის ლონდონში ყოფნას პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდეს, ტყუილია. მას გრეი არ უნახავს. ელჩი ბენკერდორფის ასულის ქორწილის შემდეგ იზვოლსკი პარიზში დაბრუნდება.

## რ უ ს ე თ ი

**პეტერბურგი.** სამეცნიერო აკადემია სახალინსა, კამჩატკასა და სემიპალატინის ოლქში სეისმრიულ სადგურს აშენებს.

**მოსკოვი.** პოლიციამ გააუქმა ახალი არა-ლეგალური პარტია რუს ნაციონალისტ სოციალ-რევოლიუციონერებისა.

**პეტერბურგი.** ჟურნალ „ნოვაია ჟიზნის" აპრილის ნომერი აკრძალეს. რედაქტორი 1001 და 1034 მუხლის ძალით სამართალში მისცეს.

**ოდესა.** გუშინ, რუსეთ-აზიის ბანკიდან სცდილობდნენ ყალბი ქაღალდებით 10.504 მან. გატანას, მაგრამ ვერ მოახერხეს

**კიევი.** პოლიტეხნიკუმის სტუდენტებმა გაფიცვის გათავება გადასწყვიტეს.

# თეატრი და ხელოვნება

23 აპრილიდან სახალხო სახლთან არსებული რუსული დრამატიული წრე საარტისტო საზოგადოების თე-

---

-შირი აქვთ სინამდვილესთან. საბოლოოდ ხელოვნების მიზანია სინამდვილის გარდაქმნა მხატვრულს ფორმებში. ცდა აქაც საფუძვლად უდევს ხელოვნებას სწორედ ისე, როგორც მეცნიერებას. მხატვარი ადამიანი აღარ იქნებოდა, მის ნაწარმოებს რომ მჭიდრო კავშირი არა ჰქონოდა სინამდვილესთან. ეს აუცილებელი, განუყრელი კავშირი ხელოვნებისა სინამდვილესთან აძლიერებს **რეალისტურს მომენტს.** თუ ამ თვალსაზრისით შევხედავთ ხელოვნებას, მაშინ **ყოველ-გვარი** ნაწარმოები აუცილებლად **რეალისტურია.** უფრო მეტიც შეიძლება ითქვას. კონკრეტულ სინამდვილესთან ყველაზე მეტი დამოკიდებულება მხატვარსა აქვს, რადგანაც იგი მხატვრულს სურათებს სწორედ ამ კონკრეტულ სინამდვილიდან იღებს. მაგრამ ამ რეალისტურ მომენტის გარდა არსებობს კიდევ იდეალისტური მომენტიც. მხატვარს არ შეუძლიან მხოლოდ სინამდვილის დახატვით დაკმაყოფილდეს, კიდეც რომ შესაძლებელი **იყოს** სინამდვილის დახატვა. ყოველ-გვარი ხელოვნება იმითი განსხვავდება სინამდვილის უბრალო გარდმოცემისაგან, რომ მხატვარი **არჩევს** მასალას. მასალის შერჩევა კი გამომხატველია განსაზღვრულ სულიერ მოძრაობისა, რომელსაც განიცდის მხატვარი შერჩევის დროს. ამით დიდი მნიშვნელობა ეძლევა არა იმას, თუ **რას** გადმოგვცემს მხატვარი, არამედ იმას, თუ **როგორ** გადმოგვცემს. ამ შემთხვევაში იდეალისტური მომენტი იმდენად ძლიერად იჩენს თავს, რომ რეალისტური მომენტი სრულიად იჩრდილება, თუმცა ეს ორგვარი მომენტი ურთიერთისადმი ანტაგონისტურს მდგომარეობას არ იღებს.

ეს იდეალისტური მომენტი რომ არ არსებობდეს, მაშინ აუხსნელი დარჩებოდა ის, თუ საიდან სჩნდება მხატვრულს ნაწარმოებში ისეთი სურათები, რომელთაც რეალურს სინამდვილეში ადგილი არა აქვთ. ამ სურათებს ჰქმნის მხატვრის **ფანტაზია.** ცდა, რომელსაც რეალისტური ელემენტი შეაქვს მხატვრობაში, ყოველთვის არ იძლევა სრულს და ნათელს წარმოდგენას სინამდვილისას; მაშინ მხატვარი, მხატვრულ სურათის წარმოსადგენად, მიჰმართავს ფანტაზიას. იმას, რასაც აკლებს ცდა, მხატვარი ფანტაზიით ივსებს. ამ რიგად ცხადია, რომ ფანტაზია უმთავრესი მამოძრავებელია ხელოვნებისა.

როგორც ზევითაცა ვსთქვით, სილამაზე უმთავრესი საგანია ხელოვნებისა. ბევრნაირად შეიძლება აიხსნას სილამაზე. კანტის წარმოდგენით არსებობს ორ გვარი სილამაზე — „თავისუფალი" და „დამატებითი". ფეხნერის განმარტებით პირველ სახის სილამაზის განცდის დროს მოქმედებს პირდაპირი მომქმედი (შეგრძნება), მეორისა კი—წარმოდგენათა ასოციაცია. გ. გეფდინგი კი ამ ორნაირ სილამაზის შუა აყენებს ისეთს სილამაზეს, რომლის შესათვისებლადაც საჭიროა ნიჭი შერჩევისა, შეკუმშვისა. ასეთი საშუალო ადგილი უჭირავს ფსიხოლოგიაში პერცეპციას, რომელიც გარდამავალი ფორმაა შეგრძნებიდან წარმოდგენისკენ. რანაირი ფილოსოფიური განმარტებაც უნდა იყოს მართალი, მაინც გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ ხელოვნების საგანს სილამაზე შეადგენს. ამას გვიმტკიცებს როგორც თეორიული განხილვა ხელოვნების ხასიათისა, ისე მისი ისტორია.

მრავალი საშუალება არსებობს ესთეტიურ განცდათა. არსებობს რამდენიმე დარგი ხელოვნებისა, რომელნიც სათანადო შთაბეჭდილებას ახდენენ ადამიანის სულიერ ცხოვრების სხვა და სხვა მხარეზე. მუსიკა მოქმედებს ადამიანის სმენაზე განსაზღვრულ რითმით, ტონთა ამაღლებ-დამაღლებით, ჰარმონიითა და დისონანსით. მუსიკა არა ჰბადებს განსაზღვრულს წარმოდგენას; იგი განსაკუთრებით გრძნობაზე მოქმედებს. ამიტომაა, მუსიკალურ ნაწარმოების დაფასებაში დიდი განსხვავებას რომა ვხედავთ ხოლმე. პოეზია კი, ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით, სარგებლობს მხატვრულ სურათებით, რომელთაც ჰქმნის ფანტაზია. იქ, სადაც ეს მხატვრული სურათები არ არის, არც პოეზიაა. რამდენადაც უფრო ძლიერია მხატვრული სურათები, იმდენად ადვილად აღვიძებს ფანტაზიას, იმდენად ძალიან მოქმედებს იგი ადამიანზე, იმდენად მეტად იქცევა იგი ესთეტიურ განცდისა და ტკბობის წყაროდ. ამიტომ ფორმას მხატვრულ ნაწარმოებისას ძალიან დიდი მნიშვნელობა ეძლევა. რა თქმა უნდა ეს კიდევ არა ნიშნავს, თითქოს შინაარს არავითარი მნიშვნელობა არა ჰქონდეს. როდესაც ფორმის მნიშვნელობაზე ვლაპარაკობთ, ჩვენ მას შინაარს არ უპირდაპირებთ. დაპირისპირება ფორმისა და შინაარსისა ჩვენ ისევე უმართებულოდ მიგვაჩნია, როგორც იმის, თუ რას უნდა ემსახურებოდეს ხელოვნება, თავის თავს თუ ცხოვრებას. როგორც უშინაარსო მხატვრული ნაწარმოებია წარმოუდგენელი, ისე უფორმო. შინაარსი უფორმოდ წარმოუდგენელია, ფორმა—უშინაარსოთ. მაგრამ თუ ესთეტიურის თვალსაზრისით შევხედავთ ნაწარმოებს, უნდა ვაღიაროთ, რომ მოუხეშავ ფორმებში ჩამოყალიბებული ნაწარმოები ყოვლად შეუძლებელია ხელოვნურს ნაწარმოებად ჩაითვალოს, მაშინ როდესაც სუსტი შინაარსის, მაგრამ ლამაზ ფორმებში ჩამოსხმული ნაწარმოები მაინც ახდენს განსაზღვრულს შთაბეჭდილებას ადამიანზე.

ეს სახელმძღვანელო პრინციპი ხშირად ავიწყდებათ ხოლმე ამა თუ იმ მხატვრულს ნაწარმოების დაფასების დროს. ხშირად განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ შინაარს და ავიწყდებათ, რომ შინაარსი თავის თავად ყოვლად შეუძლებელია გარდაიქცეს ხელოვნურ ნაწარმოების დამახასიათებელ თვისებად. ასეთი გაუგებრობა გამოიჩინა ზოგიერთმა მწერალმა ჩვენშიაც, როდესაც კამათი ასტეხეს ა. შანშიაშვილის პოეზიაზე. ეს კამათი უკვე წარსულს ეკუთვნის, მაგრამ რადგანაც იგი ფრიად დამახასიათებელია ერთგვარ აზროვნებისა და შეხედულებისა ხელოვნებაზე, არ შეგვიძლიან ცოტა ხანს არ შევჩერდეთ მასზე და მკითხველსაც არ გავახსენოთ. კამათი გამოიწვია ბ-ნ შხეფელის წერილმა*). შხეფელმა ერთმანეთს დაუპირისპირა ორ-გვარი პოეტები: ნაციონალისტური და მუშათა კლასისა. ნაციონალისტური პოეტები მხოლოდ „ოცნებას" შესტრფიან, ისიც იმიტომ, რომ სინამდვილე მათ, როგორც ბურჟუებს, საფრთხეს უმზადებს. რევოლიუციით შეშინებული ბურჟუაზია ცდილობს ოცნებაში მაინც გაერთოს, რომ მწარე სინამდვილე არ დაინახოს. მუშათა კლასის პოეტები მოქალაქობრივ მოტივებზე სწერენ. თუმცა წარმოუდგენელია, ნაციონალური მოტივი რატომ არ არის მოქალაქობრივი მოტივი, მაგრამ ამ ჟამად ამას არ გამოუდგებით. ბ-ნმა შხეფელმა დაუპირისპირა ერთმანეთს ეს ორ-გვარი პოეზია და უპირატესობა მუშათა კლასის პოეტებს მისცა. ბ-ნი შხეფელი არ შესულა იმის განმარტებაში, თუ მხატვრულ ღირსებითაა დაჯილდოვებული ამ პოეტთა ნაწარმოებნი. მარტო ის გარემოება, „რომ მუშათა კლასის პოეტები", ბ-ნ შხეფელის უცნაურ ტერმინოლოგიით, მუშებს უკეთეს მომავლისკენ მიიწვევენ, საკმარისი ხდება მათი პოეტებად გამოცხადება. ეს ისეთი შეუსაბამობაა, რანაირიც მხოლოდ ჩვენისთანა უკულტურო საზოგადოებაშია წარმოსადგენი. მოქალაქობრივი მოტივები კარგი რამ არის, მაგრამ თუ ეს მოტივები **მხატვრულს** ფორმებში არ არის ჩამოყალიბებული, ხელოვნურს ნაწარმოებადაც ვერ ჩაითვლებიან. მუშათა გამოსარჩლება ყოვლად უნიჭო, მხატვრულ ღირსებებს მოკლებულ ნაწარმოებს პოეტურ ნაწარმოებად ვერ გახდის. გამოჩენილ ლირიკოსს შელლის ბევრი ლექსი აქვს დაწერილი სამოქალაქო თემაზე, მაგრამ ეს ლექსები ისეთ მხატვრულ ღირსებებითაა დაჯილდოვებული, რის მსგავსიც ძალიან ცოტა მოიძებნება მსოფლიო ლიტერატურაში. ან კიდევ გაიხსენეთ ჰაუპტმანის „ჰანნელე". „ჰანნელე" მშვენიერი დემონსტრაციაა სიღარიბეში აღზრდილ ბავშვის სულიერ დრამისა. ტრაგიზმი სიღარიბისა, რომელსაც თან ათასი სხვა უბედურება სდევს, გასაოცარის ხელოვნებითაა გადმოცემული ჩვენში კი გალექსილი პუბლიცისტიკა პოეტურს ნაწარმოებად მიაჩნიათ. ეს მხოლოდ იმის მომასწავებელია, რომ ჩვენში ჯერ კიდევ არ არის განვითარებული გემოვნება. მოუხეშავია ჩვენში გრძნობა და ამ მოუხეშავ გრძნობას ხელოვნური ნაწარმოები უნიჭო, ყოველ-გვარ მხატვრულ ღირსებას მოკლებულ ნაწარმოებიდან ვერ გაურჩევია.

ხელოვნური ნაწარმოები განსაკუთრებით გრძნობაზე მოქმედობს მხატვრულ სურათებით. ამიტომ ამა თუ იმ ნაწარმოების დაფასების დროს უნდა ვიხელმძღვანელოთ ხოლმე არა მარტო მისი შინაარსით, არამედ იმითაც, თუ რამდენად მხატვრულადაა გადმოცემული ეს შინაარსი, რამდენად ლამაზ ფორმებშია იგი ჩამოსხმული... ეს უპირველესი მოვალეობაა იმისი, ვისაც კი სურს სწორედ დააფასოს ნაწარმოები...

გ. ზარელი

*) იხ. ნომრები, რომლებშიაც წერილები იბეჭდებოდა. ამ ჟამად ხელთ არა მაქვს. ამიტომ საჭირო ციტატების ამოწერით ვერ დავასაბუთებ ჩემს სიტყვებს. მაგრამ კი გპირდებით იმას, რომ აზრები სწორედ იქნება გადმოცემული. გ. ზ.

ატრში ოთხ წარმოდგენას გამართავს. წარმოდგენენ ორჯერ „ქვეყნის გარ-შემო 80 დღეში", „ტაიფუნსა" და „წამებულს".

— ანტონ ფურცელაძის ცნობილი ისტ. პიესა „ლდ-მოურავიანი" 12 აპრილს არ დაიდგა, წარმოდგენა იქ-ნება დღეს, 17 აპრილს.

დ. ზონი. ალექსეევ-მესხიევის თეატრის დარბაზში 12 აპრილს გამართულ იქ-მნა წარმოდგენა. წარმოდგენილ იქმნა „თამარ ბატონიშვილის" მე-4-ე მოქმედება. წარმოდგენილ იქმნა აგ-რეთვე ვ. ბალანჩივაძის ვოდევილი „კუდიანი ცოლქმრობა" და „ადამ" და „ევა". წარმოდგენაში მონაწილეობდნენ იღებდნენ, სხვათა შორის, ქ-ნი ურ-ბნელი და გრ. ჩარკვიანი. თამარ ბა-ტონიშვილის მე-4-ე მოქმედება სუს-ტად ჩაატარეს. სუსტობდნენ თით-ქმის ყველა მოთამაშეები. შედარე-ბით როლი ვ. ჯავახიძემ კარგად ჩაა-ტარა. მშრალად ლაპა-რაკობდა. [illegible] გამომეტყველება არა ჰქონდა; რო-ლი ნაცლად იყოდა. გრ. ჩარკვია-ნიც სუსტობდა, გადამეტებულად ქვითინებდა. მხიარული ვოდევილი, „კუდიანი ცოლქმრობა" კარგად ჩაატა-რეს. ქ-ნ ურბნელმა და გრ. ჩარკვი-ანის თამაშმა ბევრი [illegible]. ვ. ჯავახიძე მაინც სუსტობდა. ვ. ჯავახიძეს გულწრფელად ვურ-ჩევთ [illegible] სცენა იმისათვის არ არის გაჩენილი რომ იგი [illegible]. თუ სახოგადოების [illegible] ვნებას თუ მოუტანს, თორემ სარგე-ბლობას ვერაფერს. ხალხი წარმოდ-გენას ძალიან ცოტა დაესწრო, შემო-სავალი 17 მ. 47 კაპ. იყო.

მაღალი.

## ს პ ო რ ტ ი

**ფრანგული ჭიდაობა**

15 აპრილს 5 წყვილმა იჭიდავა. პირ-ველ რიგში ჭიდაობენ ჩორნი და ბული. სიმარდით და ტეხნიკით არც ერთი არ ჩამოუვარდება მოპირდაპირეს; ამიტომ მათი ჭიდაობა საინტერესო იყო. 14 წუთ. შემდეგ ჩორნიმ ბული კისრულით დაამარცხა. შემდეგ შავმა ნიღაბმა ბავ-შვივით ათამაშა ხელში პაწაწა გუბერი და ნელა დააწვინა ხალიჩაზე 30 წუთის შემდეგ. მესამე რიგში ჭიდაობენ სტუდენ-ტი ვ. ბ. და მილლერი. სტუდენტი მხო-ლოდ იგერიებს უზარმაზარ მილლერს. მაგრამ 14 წუთის და 13 წამის მეტი ვერ გაუძლო. შემიაკინსა და რუსაკოვას ჭი-დაობა 7 წუთ. შემდეგ უკანასკნელის და-მარცხებით გათავდა.

დასასრულ გაიმართა კავკასიური ჭი-დაობა. ბულს ეჭიდა ირაკლი კახელი, რომელმაც სარმით ორჯელ დააგდო ძირს ბული, მაგრამ აქ ფრანგული ჭიდაობის ფანდით „ნელსონით" ბულმა გადააბრუნა იგი და დაამარცხა.

## გამოსადეგი ცნობა

### ტფილისის ბირჟა

(ნაჩვენებია განაღდების ფასები).

**ხარგებლიან ქაღალდების ფასები:**

| | |
|---|---|
| 4% ხაზ. რენტა . . . . . . . | 141/2 |
| 5% გირ. ფ. სათ.-აზ. ხაზ. ს.-მამ. ბანკ. | 977/8 |
| 4% „ „ „ „ „ . | 907/8 |
| 31/2% „ „ „ „ „ . | 853/4 |
| 5% გირ. ფურც. ტფ. სათ.-აზ. ბანკ. | 873/8 |
| 41/2% „ „ „ „ „ . | — |
| 5% „ „ ქუთ. მიხ. თ.-აზ. ბანკ. | 843/8 |
| 5% ობლიგაც. ტფ. ქალაქ. საკ. ხაზ. | — |
| 41/2% „ „ „ „ . | 853/4 |
| 5% I მოგებ. ბილეთ. . . . . . | 470 |
| 5% II „ „ . . . . | 3881/2 |
| 5% III „ „ . . . . . . | 339 |

**სანოვაგისა და ქირნახულის მაზანდა:**

| | |
|---|---|
| მატყლი ერბგრული . . . . | — |
| ბამბა ქუთათური . . . . . | — |
| აბრეშ. პარკი ქუთათ. და ადგილ. | 55—56 „ |
| ჭიათ. შავი-ქვა (ჩვეულებრივი . | 6 „ |
| (გარეცხილი . . | 7 „ |
| ყველი ქართული . . . . . | 7—8 მ. 50 კ. |
| თხილი ზაქათალისა . . . . . | 3 მ. 35 კ. |
| ღვინო კახური . , | 3 მ. 20 კ.-დან 4 მ. |
| შაქარი (თავისა . | 3 მ. 20 კ.-დან 4 მ. |
| (ფხვიერი . . . . . | 4 მ. 20 კ. |
| ხორბალი . . | 1 მ. 20 კ.-დან 1 მ 30 კ. |
| ქერი . . . . . . . . . . . . | — |
| სიმინდი . . . . . . | 70 კ.-დან 80 კ. |

## განცხადებანი


ქ. ქ უ თ ა ი ს შ ი

ქირურგიული და დედათა სნეულების

**სააპადმყოფო**

სამშობიარო განყოფილებით ექიმის

**ივ. ზოკერიასი**

გიმნაზიის ქუჩა, თეატრის პირდაპირ.

იქვე წამლობენ სიფილისს პრო-ფესორ ერლიხის ახალი საშუალე-ბით „606". (30—405—86)

**დოქტ. ნავასარდიანისა**

ყოველ დღე, კვირების გარდა

დაარსებულია 1880 წელს.

(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

**დ ი ლ ი თ:**

**ბ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირუ-რგიული, ვენერიული (სიფილ.) ავად.

**ყ. მ. ჩიქოვანი:** 91/2—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასოვი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ნ. ტ. მულინი:** 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

**მ. გ. აველტისიანცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

**ა. მ. პუგინოვი.** 12—1 ს. შინაგანი, ბავშვებისადა ყვავილის აცრა.

**ა. პ. კარაპეტიანცი:** 1—11/2 ს. შინ-გან. და საბავშვო.

**ბ. გ. აგასაროვი:** 11/2—2 ს. შინაგ-ნი ბავშვთა ავად.

**ს ა ღ ა მ ო თ ი:**

**ქალ. ექ. ბ. ს. ზილბერშაცი:** 6—6 ს. საბებ., ქალ. და ბავშ. ავად.

**ო. ვ. გეევსკაია-ენგელი:** 6—61/2 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ი. ფ. ვარციშევსკი:** 6—7 ს. შინა-განი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

11—12 ს. **606** წამლობა, კონსულტატიურად.

რჩევა 50 კ. ღარიბებს უფასოდ, კონსულ-ტაციები და ოპერაციები შეთანხმებით.

სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი ბ. ა. ნავასარდიანი.

(წ. (1163—15)

**თესლეულობა**

ყოველგვარი, უმაღლესის ხარისხისა, თავდებობით რომ ამოვა, სხვა და სხვა ჯიშის ხახვის ლივი, ხენდრო, სათესლე კარტოფილი და ტარხუნის ნერგი.

**თესლეულობის დეპო კოვალისა**

მიხეილის ქუჩა, № 27.

(3—561—1)

შ ე მ თ ხ ვ ე ვ ი თ

**ისყიდება** მიწა

საბურთალოზე 403 ოთხკ. საჟენ, თხინვალ-საგაბაშვილოს ადგილში. პირობების გაგება შეიძლება „სორაპნის" სტამბაში, დილ. 8 ს.-დან საღ. 6 ს.-მდე ნიკო ქოზაშვილთან. (0—7)

**„სამპსონიანი"**

თმებისათვის

საპონი ექ. დიდიძისა

იყიდება ელისაბედის აფთიაქში (ქსენიე-ვისა და ელისაბედის ქუჩების კუთხე).

(წლ.—1152—16)

ВѢРНЫЙ ДРУГЪ ЖЕНЩИНЪ

КРЕМЪ КАЗИМИ

МЕТАМОРФОЗА

ПРОДАНО БОЛѢЕ ДВУХЪ МИЛЛІОНОВЪ БАНОКЪ

РАДИКАЛЬНО УСТРАНЯЕТЪ ВЕСНУШКИ, УГРИ, ПЯТНА, МОРЩИНЫ И ДРУГІЕ ДЕФЕКТЫ ЛИЦА

УТВ. ДЕПАРТ. ТОРГ. И МАНУФ. ЗА № 4683

ТРЕБУЙТЕ ПОДПИСЬ Cazimi

Метцль. 32829. (6—1139—2)

გაუფრთხილდით სიყალბეს!!

პროვიზორ

**გ. ფ. იურგენსის**

ბორნო ტიმოლის

— ს ა პ ო ნ ი —

ოფლისა, მზის ნამწვისა, ძი-ძიბებისა, მელასი და ჭორ-ფლის წინააღმდეგ ქეთილ-სუნელოვანი ხელის საპონი უმაღლესის ღირსებისა.

ყველგან იყიდება.

1/1 ნაჭერი 50 კ. 1/2 ნაჭ.—30 კ.

Метцль. 5215. (18—11781—3)

დაარსებულია 1893 წ. ... | ... გ. ფ. იურგენსის

სუსუნატის წინააღმდეგ

ახალი წამალი

**„SALO-პიჩილინი"**

სწრაფად და საფუძვლიანად მოქ-მედობს და ექიმთა აზრით გონივ-რულ საშუალებად ითვლება. და-რიგება კოლოფში ძევს. ნამდვილი მხოლოდ ლითონის კოლოფითაა, 1 მან. და 80 კ.

აგრეთვე კარგად მოქმედობს ამ სენის გამწვავებისა და ქრონიკუ-ლად გამოჩენის დროს და სულ მოკლე ხანში შეუწყვეტელ მდი-ნარეობასაც აჩერებს.

დეპო: Петербургъ. Разъѣзжая N 7, Аптека Б. Конгейма.

ფას-დადებით იგზავნება. გასაგზა-ვნი ფოსტის ტარიფის მიხედვით. კავკასიის სააფთიაქო საქონლით მოვაჭრე საზოგადოებაში იშოვება.

Метцль. 12429. (45—1014—10)

◀ მშობიარეთათვის ▶

**თავშესაფარი ბებია-ქალის მუხარელისა.**

ოლგას ქ., საბებიო ინსტიტ. პირდაპირ.

მშობიარენი და ფეხმძიმე ქალები მიი-ღებიან ყოველ დროს დღეცა და ღა-მეც. არის საერთო საწოლი, ცალკე ოთახები და ოთახი საიდუმლოდ მომ-სვლელთათვის.

მიღება ქალის ავადმყოფობით სნეუ-ლთა, ძიძების გასინჯვა, ყვავილის აც-რა და მასსაჟი ყოველ-დღე დილის 6—7-დან ნაშუადღევის 12 ს. (თ.—86)



ალექსანდრე

**თაბაგრის**

მ ა ღ ა ზ ი ა შ ი

**საკერავი და საქსოვი მაშინები,**

ქუთაისი ალექსანდროვის ქ.

**გრამოფონები და ველოსიპედები**

და მათი მოწყობილება დამზადებულია საზღ-ვარ-გარეთის საუკეთესო ქარხნებში, რის ხი-კარგეშიც ვიძლევი გარანტიას. ფასები სახარ-ნოა (ზომიერია), როგორც ნაღდ ზედ, აგრეთვე ნისიათ. (თვიურად შემოტანით). ჩვენს საკერავ მაშინებს აქვს წარწერა. „ПО ОСОБОМУ ЗАКАЗУ—А. Р. ТАБАГАРИ КУТАИСЪ", რომელიც უტყუარია და მყიდველებიდგანაც მაქვს მადლ-ობის წერილები. მყავს გამოცდილი მექანიკი, შეკეთება ყველაფ რის კარგად და ზომიერ ფასებში. გრამოფონის პლასტინკები ახალ-ახალი მოგვდის ყოველ კვირა.

ფოსტის ადრესი: Кутаисъ, А. Р. Табагари.

(50—269—18)



**ფომინობის კვირაში**

18, 19, 20, 21, 22 და 23 აპრილს

**პ. ს. დოროჟნოვის**

მ ა ღ ა ზ ი ე ბ შ ი

1) უმთავრესი—სოლოლაკის ქუჩა, სახ. გურგენო-ვისა, ტელეფონი № 583. | 2) იაროსლავისა—მიხეილის ქუჩა, ლიუტერანთა ეკლესიის გვერდით, ტელეფონი № 838.

ყოველ წლივ მიღებულ ჩვეულებისამებრ მთელი

**ფ ო მ ი ნ ო ბ ი ს კ ვ ი რ ი ს** განმავლობაში

**უდიდესი იაფი ვაჭრობა**

მხოლოდ ექვს დღეს 18, 19, 20, 21, 22 და 23 აპრილს.

ზემოხსენებულ ექვს დღის განმავლობაში ყველა სპეციალურ განყოფილებაში, წარსულ სეზონებიდან დარჩენილი მთელი საზაფხულო საქონელი **გაიყიდება საოცარ იაფ ფასებში.**

**მაუდეულის განყოფილებაში:** ტრიკო კუპონებით და სატანისამოსო, საპალტოო და საშალვარე ნაჭრობით; აუარებელი დარჩენილი საქონელი მაუდეუ-ლისა, ქსლობისა და სხვა. კიტელის ქსოვილები, რომელიც **გაიყიდება გასაოცარ იაფ ფასად.**

**აბრეშუმეულისა და მატყლეულის განყოფილებაში:** აუარებელი საქონელი დარჩენილ კუპო-ნებისა აბრეშუმეულისა და მატყლეულისა, აბრეშუმის ფულიარის, საზაფხულო ტანისამოსისა, ტი-ლოსი და ბატისტისა დამზადებული ტანისამოსი და სხვა, რომელიც **გასაოცარ იაფ ფასებში გაიყიდება.**

**ტილოს განყოფილებაში:** დიდ-ძალი საქონელი საზაფხულო საბნებისა, საბანაო ზეწრებისა და პირ-სახოცებისა. აუარებელი **დარჩენილი ტილო და საგანგებო ქსოვილები თეთრეულისათვის** (საცვ-ლებისათვის), რომელიც **გასაოცარ იაფ ფასებში გაიყიდება.**

**შეკერილ თეთრეულის განყოფილებაში:** ხალათები, ზედა და ქვედა იუბკები, კოფტები, კიმნო, მატინე, საზაფხულო ტანისამოსი მამაკაცთა, ქალთა და ბავშვთათვის და სხვა დარჩენილი საქონელი წარსულის სეზონისა **გაიყიდება გასაოცარ იაფ ფასებში.**

**ტრიკოს განყოფილებაში:** წინდები ქალებისა და ბავშვებისა, წინდები მამაკაცთათვის, ბავშვთა-თვის, ფანტაზია და სხვა ფერად ტრიკოს თეთრეული და სხვა **გაიყიდება გასაოცარ იაფ ფასებში.**

დიდ-ძალი ქოლგები, 10,000 ცალამდე მამაკაცთა, ქალთა და ბავშვთათვის, **სულ უკანასკნე-ლი ახალი რამ,** მაგრამ სეზონის გვიან დაწყების გამო, რათა ამ სეზონშივე სულ გავყიდოთ, ყველა ქოლგები **გაიყიდება საოცარ იაფ ფასებში.**

**უზარ-მაზარ ვიტრინებში ყველა სპეციალურ განყოფილებიდან ფომინობის კვირაში გამოფენი-ლი იქნება საქონლის არტიკულები საოცარ იაფ ფასების** აღნიშვნით.

პ. დოროჟნოვი.

ფომინობის კვირა 18, 19, 20, 21, 22 და 23 აპრილი.

**უდიდესი იაფი ვაჭრობა.** (1227 1—1)

**კავკასიური ბუნებრივი კონიაკი „არარატი"**

◀ ღირსებით კონკურენციის გარეშე ▶

იყიდება საუკეთესო გასტრონომიულ მაღაზიებში.

დასაკვეთად პირდაპირ ერევანში მიმართეთ პატრონს

**ს. პ. ედიგაროვს,**

ან ტფილისში ბ. მულიარსკის.

(10—1207—7)

**საკერავი მაშინა ზინგერის კომპანიისა**

იყიდება

მხოლოთ კომპანიის საკუთარ მაღაზიებში

ფასის დადადა ნაწილ-ნაწილ 1 მანეთიდან | ხელის მაშინები ფასად 25 მანეთიდან

КОМПАНІЯ ЗИНГЕРЪ

მაღაზიის ნიშანი.

უფრთხილდით სიყალბეს | მაღაზიები ყველა ქალაქებში.

(წ.—1062—21)

**გამომცემელნო!**

◀ ვ ა ჭ რ ე ბ ო! ▶

კანტორის გამგენო!

და

**ბ უ ხ ჰ ა ლ ტ ე რ ნ ო!**

თანამ ვისმეს რიმე სასტამბო საქმეებს შეუკვეთ: ვდეთ—შემოიარეთ

**ს ტ ა მ ბ ა „კულტურაში"**

ტფილისი, გოლოვინის ქ., № 18.

საქმეებს ყველა ენაზე ვიკვეთავთ და ვას-რულებთ ლამაზად და მოხდენ: ლად.

(3—1226—2)

საუკეთესო წითელი (Кет.) ხიზილალა

**სალიანის თევზთ მრეწველ და მოვაჭრეთ ძმ. ძეგველოვების**

● მ ა ღ ა ზ ი ა ს ●

პუშკინის ქ., სახლი № 9, ტელეფონი № 712,

ყოველ დღე განუწყვეტლივ მოდის

**ახალ-ახალი**

**ოსეტრინა** (ზუთხი) და **სევრიუგა** (ტარალანა).

**ხიზილალა**

ახალი (Зернистая).

პარკისა და კოლოფებით

საუკეთესო დოშები და ზურგიელები

მიღებულია დვინის ორაგული (სიომგა)

მივიღეთ საუკეთესო პაისუნი ხიზილალა

გირვანქა 1—40 2 მან.—2 მან. 40 კ.

წითელი ხიზილალა (Кетовая). 60 კ. გირ.

და ბელა-რიბიც 50 კ.

აგრე ივიღეთ დიდი პარტია ყოველნაირი კონსერვები.

(წ.—1053—)

საუკეთესო წითელი (Кет.) ხიზილალა

საუკეთესო წითელი (Кетовая) ხიზილალა